

# საზოგადო ტროპარ-კონდაკნი

*წმიდათა ანგელოსთა*

*ტროპარი, ჳმად 4.*

ზეცისა მკედრობათა მთავარ-ანგელოსნო (სახელი) გვეკვდრებით უღირსნი ესე, რამთა მეოხებითა თქუენითა შეგვზღუდნეთ ჩუენ საფარველითა ფრთეთა თქუენთაჲთა, და უკორცოჲსა მის დიდებისა თქუენისა მიერ დაცულნი შევივრდებით, და ჳელ-აპყრობით გიღალადებთ, ლელვათა და განსაცდელთაგან გჳჳსნენით ჩუენ, დიდნო მთავარნო ზეცისა ძალთანო.

*კონდაკი, ჳმად 2.*

მთავარ-ანგელოსნო ღმრთისანო (სახელი), მსახურნო საღმრთოჲსა მის დიდებისანო, ანგელოსთა-მთავარნო და წინამძღუარნო შეკთომილთანო, უმჯობესისა ჩუენცა გვიოხენით დიდსა წყალობასა უკორცოთა ძალთა ერის მთავარნო.

*წმიდათა წინამსწარმეტყუელთა*

*ტროპარი, ჳმად 2.*

წინამსწარმეტყუელისა შენისა (სახელი), უფალო საკსენებელსა ვდლესასწაულობთ, მისითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნენ სულნი ჩუენნი.



ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა

ტროპარი, ჳმად 1.

უდაბნოსა მოქალაქედ და ჳორცითა ანგელოსად და სასწაულთა მოქმედად გამოსჩნდი ღმერთშემოსილო მამაო წმიდაო (სახელი), მარხვითა, მღვდარებითა და ლოცვითა მადლი ზეცით მოიღე და ჳკურნებ უძღურთა სენთა და სულთა, რომელნი სარწმუნოებით შენდა მოივლტიან. დიდებაჲ, რომელმან მოგცა შენ ძალი, დიდებაჲ, რომელმან გურგუნოსანგყო შენ, დიდებაჲ, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ჳედა სასწაულთა.

კონდაკი, ჳმად 2.

სიწმიდისა სულისაჲთა საღმრთოდ შეიჭურვე, დაუცხრომელად ლოცვაჲ, ვითარცა ლახუარი ჳელს-იდევ, კადნიერად განგმირე ეშმაკთა ბანაკი საკურველთ-მოქმედო მამაო (სახელი), ევედრე ღმერთსა დაუცხრომელად ჩუენ ყოველთათჳს.